შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“

არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“ 5
2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ 5
3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა 18
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
5. ძირითადი საშუალებები 19
6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები 20
7. სავაჭრო მოთხოვნები 21
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 21
9. ნასესხები სახსრები 21
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 21
11. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან 22
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 22
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 22
14. ფინანსური ხარჯები და შემოსავლები 23
15. პირობითი ვალდებულებები 24
16. ფინანსური რისკის მართვა 25
17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება 28
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 29

შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,694,733	–	–
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	6	1,988,501	79,578	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,683,234**	**79,578**	–
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		6,560	–	–
სავაჭრო მოთხოვნები	7	674,536	1,099,388	–
გადახდილი ავანსები		332	310	–
საგადასახადო აქტივები		76,480	–	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	16,218	3,341	769
სულ მიმდინარე აქტივები		**774,126**	**1,103,039**	**769**
სულ აქტივები		**5,457,360**	**1,182,617**	**769**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		78,500	78,500	73,500
გაუნაწილებელი მოგება		(5,577,569)	(1,150,287)	(72,731)
სულ კაპიტალი		**(5,499,069)**	**(1,071,787)**	**769**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9	1,754,933	–	–
საიჯარო ვალდებულებები		1,204,914	29,251	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,959,847**	**29,251**	–
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9	394,487	–	–
საიჯარო ვალდებულებები		503,641	40,850	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	1,427,038	1,106,268	–
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	15	5,671,416	1,054,975	–
საგადასახადო ვალდებულებები		–	23,060	–
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**7,996,582**	**2,225,153**	–
სულ ვალდებულებები		**10,956,429**	**2,254,404**	–
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**5,457,360**	**1,182,617**	**769**

ირაკლი პაპიაშვილი
დირექტორი

თეონა მიქიაშვილი
ბუღალტერი

5-დან 29-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,694,733	–	–
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	6	1,988,501	79,578	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,683,234**	**79,578**	–
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		6,560	–	–
სავაჭრო მოთხოვნები	7	674,536	1,099,388	–
გადახდილი ავანსები		332	310	–
საგადასახადო აქტივები		76,480	–	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	16,218	3,341	769
სულ მიმდინარე აქტივები		**774,126**	**1,103,039**	**769**
სულ აქტივები		**5,457,360**	**1,182,617**	**769**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		78,500	78,500	73,500
გაუნაწილებელი მოგება		(5,577,569)	(1,150,287)	(72,731)
სულ კაპიტალი		**(5,499,069)**	**(1,071,787)**	**769**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9	1,754,933	–	–
საიჯარო ვალდებულებები		1,204,914	29,251	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,959,847**	**29,251**	–
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9	394,487	–	–
საიჯარო ვალდებულებები		503,641	40,850	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	1,427,038	1,106,268	–
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	15	5,671,416	1,054,975	–
საგადასახადო ვალდებულბები		–	23,060	–
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**7,996,582**	**2,225,153**	–
სულ ვალდებულებები		**10,956,429**	**2,254,404**	–
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**5,457,360**	**1,182,617**	**769**

ირაკლი პაპიაშვილი
დირექტორი

თეონა მიქიაშვილი
ბუღალტერი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	11	15,045,514	2,353,938
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(13,595,275)	(2,220,829)
საერთო მოგება		**1,450,239**	**133,109**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(924,454)	(163,004)
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(10,914)	(7,166)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		55,800	12,000
სხვა საოპერაციო ხარჯები		(6,381)	(393)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**564,290**	**(25,454)**
ფინანსური შემოსავალი	14	431,708	4,494
ფინანსური ხარჯები	14	(375,131)	(1,621)
მოგება დაბეგვრამდე		**620,867**	**(22,581)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**620,867**	**(22,581)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**620,867**	**(22,581)**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	**73,500**	**(72,731)**	**769**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	(22,581)	(22,581)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	5,000	-	5,000
მშობელ და დურ კომპანიასაზე გაცემული ფინანსური თავდებობები	–	(1,054,975)	(1,054,975)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**78,500**	**(1,150,287)**	**(1,071,787)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	620,867	620,867
მშობელ და დურ კომპანიასაზე გაცემული ფინანსური თავდებობები	–	(5,048,149)	(5,048,149)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**78,500**	**(5,577,569)**	**(5,499,069)**

შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		620,867	(22,581)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთა		273,311	11,891
შემოსავალი ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან		(431,708)	–
საპროცენტო ხარჯი	14	132,164	1,621
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი/(მოგება)	14	238,406	(4,494)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		**833,040**	**(13,563)**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		442,749	(1,099,388)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(22)	(310)
ცვლილებები მარაგებში		(6,560)	–
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(481,018)	1,107,244
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		(23,060)	23,060
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		(76,480)	–
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(144,391)**	**30,606**
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**688,649**	**17,043**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,194,769)	–
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(2,194,769)**	**–**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	6	(423,189)	(17,850)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	6	(72,042)	(1,621)
სესხების აღება	9	2,439,561	–
ნასესხები სახსრების დაფარვა	9	(365,427)	–
გადახდილი პროცენტი	9	(50,663)	–
საწესდებო კაპიტალში ქეშის შემოსვლა		–	5,000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**1,528,240**	**(14,471)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(9,243)	–
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		**12,877**	**2,572**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		3,341	769
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	**16,218**	**3,341**

5-დან 29-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“

შპს “თეგეტა ლოჯისტიკი”-ს („კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომერია 202372182. კომპანია დარეგისტრირდა 2007 წლის 20 თებერვალს და ის საქართველოში ფუნქციონერებს. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #129.

კომპანიის 100%-ს ფლობს შპს „თეგეტა მოტორსი“.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატრანსპორტო მომსახურება.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ

(ა) მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

მენეჯმენტმა განიხილა კომპანიის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარი. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს გამოყენებისას მენეჯმენტმა მხედველობაში მიიღო კომპანიის საქმიანობა, სტრატეგია, მიზნების მიღწევის პროცესში არსებული უმთავრესი რისკები და განუსაზღვრელობები და კომპანიის მაჩვენებლები. მენეჯმენტმა ჩაატარა კომპანიის ფინანსური პროგნოზების შეფასება და დააკვირდა ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა ფინანსური გეგმისა და სტრატეგიის განხორციელება, მომგებიანობა, კაპიტალი და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ლიკვიდობა. აღნიშნულის საფუძველზე, მენეჯმენტი ადასტურებს, რომ მათი გონივრული მოლოდინით, ჯგუფს აქვს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დმატკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში საოპერაციო არსებობის გაგრძელებისათვის საკმარისი რესურსები. მენეჯმენტისთვის უცნობია რაიმე არსებითი სახის განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც ისეთ მოვლენებსა თუ გარემოებებს უკავშირდება, რაც სერიოზულ ეჭვს აჩენს კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოდ მუშაობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამდენად, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კვლავაც იხელმძღვანელო აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით

(ბ) შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშს, რომელიც სრულად შეესაბამება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს („ფასს“). კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება სტანდარტებისა და განმარტებების 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს მოქმედი ვერსიის რეტროსპექტული გამოყენება. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სწორედ ეს მიდგომა იქნა გამოყენებული ანგარიშგების მთლიან პერიოდზე - 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ბ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. კომპანია განსაზღვრავს ამგვარ ოპერაციებში პრინციპალის სახით გამოდის თუ - აგენტის, კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. კომპანია არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, გარდა აგენტის მომსახურებებისა, რადგან ის ტიპიურად აკონტროლებს საქონელს, მისი კლიენტზე გადაცემამდე. აგენტის მომსახურებების გაწევა არ მომხდარა 2023 წლის განმავლობაში.

შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის გასვლის შემდეგ გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით, რათა კომპანიამ შეაფასოს მომსახურების სრულად შესრულების პროგრესი, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიას მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებულ ანაზღაურებად. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო მოთხოვნა

სავაჭრო მოთხოვნა წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(გ) ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- მოგება ან ზარალი ფინანსური გარანტიების ხელახალი შეფასებიდან;
- საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე;
- სხვა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(გ) ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია თუ წმინდა ზარალის.

ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობასა და წარმოებას, აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(დ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის გამოყენების განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(ე) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიას მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ე) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივებისა და მომსახურებების შესყიდვისას წარმოშობილი ბრუნვის გადასახადი არის დაუბრუნებადი საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება (მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები), (მოგების გადასახადის გარდა), რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებებს სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების შექმნით. ამიტომ კომპანია თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანად არის კლასიფიცირებული.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები. სათადარიგო ნაწილების და სხვა მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიური იდენტიფიცირების საფუძველზე.

(თ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომისა და ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე დაირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით და მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(თ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავენ დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლებისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ყიდვა-გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიასთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. კომპანიას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიის დებიტორული დავალიანებები შედგება რამდენიმე კონტრაგენტისგან და ხელმძღვანელობა თითოეული დებიტორული დავალიანებისთვის ინდივიდუალურად აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს.

საკრედიტო ინსტიტუტებში ფლობილი თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 180 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ, სავარაუდოდ, კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2023 მდგომარეობით, კომპანიას ფინანსური ვალდებულებები მოიცავს, სავაჭრო ვალდებულებეს, საიჯარო ვალდებულებებს, ფინასნური თავდებობის კონტრაქტებს და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სესხები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ ღირებულების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებSიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად სესხებს ეხება.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები

კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა თავდებობის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ისეთი ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება თავდებობის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯებით. შემდგომში ვალდებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღში არსებული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებსა და დაგროვებითი ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხას შორის უმაღლესი ოდენობით. მიმდინარე ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანია იძლევა მშობელი და საერთო კონტორლს დაქვემბდებარებული კომპანიებისს შესრულების მაჩვნებლების გარანტიას ბონდის და ნასესხები სახსრების მიმართ (15-ე შენიშვნა).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის გაუფასურების დასადგენად მისი წლიური შემოწმებაა საჭირო, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან კომპანიის აქტივების მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ლ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებებში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(მ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

(ნ) ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი კომპანიას ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

(ო) ანარიცხები

ზოგადი ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

(პ) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთ აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს საიჯარო გადახდებისთვის და გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს, რომლებიც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

2. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკების შესახებ (გაგრძელება)

(პ) იჯარა (გაგრძელება)

კომპანია ოფისს მიწის ნაკვეთს იღებს იჯარით. საიჯარო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ფიქსირებული პერიოდით - 2-დან 4 წლამდე ფორმდება.

(i) გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

კომპანია აღიარებს გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომ თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების შეფასების თანხით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხებს, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში, შემდეგი სახით:

- მიწა და შენობა-ნაგებობები- 2-დან 5 წლამდე;
- ავტომობილები და სატვირთოები-4 წელი

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში (კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები იზრდება, რომ აისახოს პროცენტის დარიცხვის თანხა და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხებით. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება მოდიფიკაციას, საიჯარო ვადის, საიჯარო გადასახდელების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივებიც და საიჯარო ვალდებულებებიც განცალკევებული ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას საოფისე ფართის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის, ასევე, ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე ფართის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი კომპანიას მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16-ის ცვლილება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
- ცვლილებები ბასს 1-ში: *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად; გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით*
- მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები - ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში.
- ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები: აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიას ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებებში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები, ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან ვითარებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

კომპანია სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს დაფინანსების კომპონენტის გარეშე ფლობს, 12 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით. ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს ყველა მის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებით. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ავტომო-ბილები	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	**–**	**–**	**–**
შესყიდვები	–	**–**	**–**
ცვეთის ხარჯი	–	**–**	**–**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**–**	**–**	**–**
თვითღირებულება	–	**–**	**–**
დაგროვილი ცვეთა	–	**–**	**–**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**–**	**–**	**–**
შესყიდვები	1,186	2,771,048	**2,772,234**
ცვეთის ხარჯი	(113)	(77,388)	**(77,501)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,073**	**2,693,660**	**2,694,733**
თვითღირებულება	1,186	2,771,048	2,772,234
დაგროვილი ცვეთა	(113)	(77,388)	(77,501)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,073**	**2,693,660**	**2,694,733**

6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	საოფისე ინვენტარი და ავტომობილები	სულ
თვითღირებულება	–	–	–
დაგროვილი ცვეთა	–	–	–
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	–	–	–
შესყიდვები	91,469	–	91,469
ცვეთის ხარჯი	(11,891)	–	(11,891)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**79,578**	–	**79,578**
თვითღირებულება	91,469	–	91,469
დაგროვილი ცვეთა	(11,891)	–	(11,891)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**79,578**	–	**79,578**
შესყიდვები	25,644	2,034,405	2,060,049
მოდიფიკაცია	44,684	-	44,684
ცვეთის ხარჯი	(75,219)	(120,591)	(195,810)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	(4,891)	1,913,814	**2,227,235**
თვითღირებულება	161,797	2,034,405	2,196,202
დაგროვილი ცვეთა	(87,110)	(120,591)	(207,701)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**74,687**	**1,913,814**	**1,988,501**

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	**70,101**	**–**
შესყიდვები	1,955,569	91,469
პროცენტის დარიცხვა	72,042	1,621
მოდიფიკაცია	44,684	–
გადახდები	(495,231)	(19,471)
შეწყვეტა	–	–
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი	61,390	(3,518)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,708,555**	**70,101**
მიმდინარე	503,641	29,251
გრძელვადიანი	1,204,914	40,850

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

	2023	2022
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთის ხარჯი	195,810	11,891
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-14 შენიშვნა)	72,042	1,621
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი	61,390	(3,518)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	10,447	–
ზარალი საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტიდან	–	–
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	**339,689**	**9,994**

7. სავაჭრო მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	674,536	1,099,388	–
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**674,536**	**1,099,388**	**–**

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	16,218	3,341	769
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**16,218**	**3,341**	**769**

კომპანია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ძირითად ნაშთებს ფლობს ქართულ კომერციულ ბანკში, რომელსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB რეიტინგი.

9. ნასესხები სახსრები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი	1,754,933	–	–
მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი	394,487	–	–
სულ სესხები	**2,149,420**	**–**	**–**

სესხების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022	2021
1 იანვარი	**–**	**–**	**–**
სესხების აღება	2,439,261	–	–
საპროცენტო ხარჯი	60,422	–	–
გადახდილი პროცენტი	(50,663)	–	–
სესხების დაფარვა	(365,427)	–	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	65,827	–	–
31 დეკემბერი	**2,149,420**	**–**	**–**

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,349,699	1,041,925	–
დარიცხული სახელფასო ვალდებულება	70,238	60,608	–
სხვა	7,101	3,735	–
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**1,427,038**	**1,106,268**	**–**

11. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

	2023	2022
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	15,045,514	2,353,938
სულ შემოსავალი	**15,045,514**	**2,353,938**

2023 წლის განმავლობაში საქონლის გადაცემა მოხდა დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო მომსახურების გაწევა - დროის განმავლობაში.

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	674,536	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე ნაწილი	–	–

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და ის წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
შესყიდული მომსახურებები	(12,350,538)	(2,136,995)
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(576,436)	(80,644)
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთა	(98,663)	–
ცვეთა და ამორტიზაცია	(77,501)	–
დაზღვევის ხარჯი	(57,755)	–
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(44,436)	–
სხვა	(389,946)	(3,190)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**(13,595,275)**	**(2,220,829)**

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(477,612)	(131,808)
პროფესიული მომსახურება	(232,281)	(13,869)
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთა	(97,147)	(11,891)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(32,973)	(2,446)
მივლინების ხარჯი	(21,707)	–
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	(11,933)	(36)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული	(10,447)	–
სხვა ხარჯები	(40,354)	(2,954)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(924,454)**	**(163,004)**

14. ფინანსური ხარჯები და შემოსავლები

ფინანსური ხარჯები	2023	2022
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(238,406)	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(72,042)	(1,621)
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე (მე-9 შენიშვნა)	(60,122)	–
სხვა ფინანსური ხარჯი	(4,561)	–
სულ ფინანსური ხარჯები	**(375,131)**	**(1,621)**

ფინანსური შემოსავალი	2023	2022
ფინანსური გარანტიის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსავალი (მე-15 შენიშვნა)	431,708	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	–	4,494
სულ ფინანსური ხარჯები	**431,708**	**4,494**

15. პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები
2023 წლიდან კომპანიამ გააფორმა თავდებობის ხელშეკრულება ქართულ კომერციულ ბანკთან. გარანტიის ფარგლებში კომპანია მშობელი კომპანიისა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიერ ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლევა. კომპანია არ კისრულობს მესამე პირის თავდებობას.

ქვემოთ წარმოდგენილი დოლარში გაცემული გარანტიები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართულ ლარში შეადგენდა:

ემიტენტი	ბენეფიციარი – დაკავშირებული მხარეები	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
კომპანია	შპს „თეგეტა თაიარ იმპორტსი“	ლარი		279,650
კომპანია	შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“	ლარი		230,061
კომპანია	შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	ლარი		130,582
კომპანია	შპს „თეგეტა დისტრიბუცია“	ლარი	403,410,000	125,308
კომპანია	შპს „თეგეტა ქარ რენთ“	ლარი		78,728
კომპანია	შპს „თეგეტა რითეილი“	ლარი		46,934
კომპანია	შპს „თეგეტა პრაიმ ფროდაქთს“	ლარი		31,374
კომპანია	შპს „თეგეტა რენტალს“	ლარი		1,342
	სულ		**403,410,000**	**923,979**

2023 წლიდან კომპანიაი გახდა დედა კომპანიის ბონდების თავდები, რომლებიც გამოიცა 2022 და 2023 წლებში.

	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
მშობელი კომპანია	ლარი	290,884,085	4,747,437
სულ		**290,884,085**	**4,747,437**

ფინანსური გარანტიების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022
ფინანსური გარანტიები 1 იანვარს	**1,054,975**	–
ფინანსური გარანტიის გაცემა	5,048,149	1,054,975
ხელახალი შეფასებით მიღებული ზარალი	(431,708)	–
ფინანსური გარანტიები 31 დეკემბერს	**5,671,416**	**1,054,975**

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა კომპანიის საოპერაციო საქმიანობისთვის. კომპანიას აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია გასწევს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, საპროცენტო და ლიკვიდურობის რისკებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (მე-7 შენიშვნა)	674,536	1,099,388
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-8 შენიშვნა)	16,218	3,341
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	**690,754**	**1,102,729**

სავაჭრო მოთხოვნები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. დებიტორული დავალიანებების უმრავლესობა მშობელ და დურ კომპანიებს უკავშირდება. მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივების ნაშთების რეგულარულ გადახედვას და ვადაგადაცილებული ნაშთების ანალიზს.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე, ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნების სტატუსიც.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხული ანარიცხების მიღმა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშვება (ა) უცხოური ვალუტის და (ბ) პროცენტიანი ვალდებულებების ღია პოზიციებიდან, რომლებიც ბაზარზე ზოგად და სპეციფიურ მოძრაობას ექვემდებარება. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება შესაძლოა უკავშირდებოდეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებს.

სავალუტო რისკი

კომპანია სავალუტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის ვალუტებს და კომპანიას საწარმოების სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2023 წლის 31 დეკემბერი			**2022 წლის 31 დეკემბერი**		
	ფულადი ფინანსური აქტივები	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**ნეტო პოზიცია**	**ფულადი ფინანსური აქტივები**	**ფულადი ფინანსური ვალდებულებები**	**ნეტო პოზიცია**
აშშ დოლარი	335,924	(3,478,209)	**(3,142,285)**	489,431	(611,262)	**(121,831)**
ეურო	236,325	(3,200,223)	**(2,963,898)**	325,455	(438,153)	**(112,698)**

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა, სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო კომპანია ყველა სხვა ცვლადს მუდმივ პოზიციაში შეინარჩუნებს:

	2023	2022
	გავლენა მოგება-ზარალზე	**გავლენა მოგება-ზარალზე**
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(314,229)	(314,229)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	314,229	314,229
ეუროს 10%-იანი გამყარება	(296,390)	(298,580)
ეუროს 10%-იანი გაუფასურება	296,390	298,580

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არის წარმომადგენლობითი მნიშვნელობის წლის განმავლობაში ტიპიური დაქვემდებარებისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომაორებით კომპანიას ნასესხები სახსრების ბალანსი სადაც არსებობდა საპროცენტო რისკი შეადგენდა 1,000 ლარს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დანაკარგების განუცდელად და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიოს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც დავალიანების თანხა არ არის ფიქსირებული, ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია დარჩენილი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზეა წარმოდგენილი, მოიცავს მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულების გავლენას.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	46,673	93,346	421,058	2,069,533	-	2,630,610
საიჯარო ვალდებულებები	11,257	159,498	467,565	1,395,885	-	2,034,205
ფინანსური თავდებობოს ხელშეკრულები	159,457	93,492	667,915	6,162,058	-	7,082,922
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,427,038	-	-	-	-	1,427,038
სულ მომავალი გადახდები	**1,644,425**	**346,336**	**1,556,538**	**9,627,476**	**–**	**13,174,775**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	–	–	–	–	–	**–**
საიჯარო ვალდებულებები	3,777	7,552	33,983	30,207	–	**75,519**
ფინანსური თავდებობოს ხელშეკრულები	25,374	34,933	438,593	763,887	137,939	**1,400,726**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,106,268	–	–	–	–	**1,106,268**
სულ მომავალი გადახდები	**1,135,419**	**42,485**	**472,576**	**794,094**	**137,939**	**2,582,513**

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები) ხასიათდება, ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ რეალურ ღირებულებას უახლოვდება.

ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2023 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები	53,987	–	590,288
საიჯარო ვალდებულებები	(55,355)	–	(155,188)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(105,059)	–	(597,208)
გასაცემი ხელფასები	–	(3,035)	–
ფინანსური ხელშეკრულების თავდებობა	(4,747,437)	–	(923,979)

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო მოთხოვნები	10,568	–	1,075,607
საიჯარო ვალდებულებები	(77,952)	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(28,597)	–	(2,524)
გასაცემი ხელფასები	–	24,579	–
ფინანსური ხელშეკრულების თავდებობა	(146,082)	–	(908,893)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავში-რებული მხარეები*
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	588,986	–	14,216,245
მომსახურებების და ქონების შესყიდვა	(63,134)	–	(2,632,403)
საოფისე ხარჯები	(25,726)	–	–
პროფესიული ხარჯები	(159,579)	–	(13,388)
სარეკლამო ხარჯები	(7,454)	–	–
სამივლინებო ხარჯები	–	(9,968)	–
შეკეთების და შენახვის ხარჯები	–	–	(48,463)
ხელფასები და პრემიები	–	(83,565)	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(9,877)	–	(10,140)
პერსონალის ხარჯები	(4,466)	–	(261)
ფინანსური თავდებობების ხელახალი შეფასებეით მიღბული (ზარალი)/შემოსულობა	(297,578)	–	729,286
სხვა	(2,716)	–	(80)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავში-რებული მხარეები*
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	21,402	–	2,286,316
საოფისე ხარჯები	(3,229)	–	–
პროფესიული ხარჯები	(13,824)	–	–
სარეკლამო ხარჯები	(5,891)	–	–
ხელფასები და პრემიები	–	(54,988)	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(1,621)	–	–
სხვა	1,477	–	5,225